



14 აპრილი, 2009წ.

„არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელი“ - ENEMO მოუწოდებს მოლდავეთის მთავრობას დაიცვას ადამიანის უფლებები და ყურადღება გაამახვილოს არჩევნებთან დაკავშირებულ პრობლემებზე

არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელის (ENEMO) წევრი ორგანიზაციები ყურადღებით აკვირდებიან და სერიოზული შეშფოთებას გამოხატავენ იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც განვითარდა მოლდავეთის რესპუბლიკაში 2009 წლის 5 აპრილის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ.

ერთკვირიანი ქუჩის აქციების შემდეგ, მოლდავეთის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა იმ საკითხებში სიციხადის შეტანა რომლებიც წამოიჭრა აქციის მონაწილეებისა და ადგილობრივი დამკვირვებლების მხრიდან. ნაცვლად ამისა, ხელისუფლებამ აირჩია დევნის, დაშინებისა და კერძო მედიის გაჩუმების პოლიტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების აზრით არჩევნების დღეს სერიოზული ინციდენტები არ დაფიქსირებულა, მაინც არსებობს გარკვეული სახის პრობლემები საარჩევნო პროცესის საერთო მენეჯმენტთან დაკავშირებით. კერძოდ: გაუმართავი ამომრჩეველთა სიები, ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენება, ამომრჩევლებზე და საარჩევნო პროცესში მონაწილეებზე ზეწოლა, მედიის არათანაბარი ხელმისაწვდომობა. ყველა ამ ფაქტების ერთობლიობას შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა არჩევნების საბოლოო შედეგებზე. ამიტომ, დამკვირვებელთა განცხადება ამ საკითხებთან მიმართებაში უნდა იქნას მაქსიმალურად გამჭვირვალედ დასაბუთებული.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დღე საარჩევნო პროცესის ძალზედ მნიშვნელოვანი ნაწილია, ბევრი სხვა ასპექტი რომელიც ხელს უწყობს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს, დაკავშირებულია საარჩევნო კამპნიასთან და წინა-საარჩევნო პერიოდთან. არჩევნების დღის მიმდინარეობაზე ყურადღების გამახვილებითა და წინასაარჩევნო პერიოდში განვითარებული მოვლენების უგულვებელყოფით, დამკვირვებელი ორგანიზაციების დგებიან საარჩევნო პროცესის არასრულყოფილი სურათის წარდგენის რისკის ქვეშ.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ნებისმიერი დემოკრატიის ფუნდამენტია. ჩვენ მოვუწოდებთ მოლდავეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და მოლდავეთის მთავრობას, რომ მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ განიხილოს ყველა ის საკითხი, რომელიც წამოჭრა არჩევნებზე დამკვირვებელმა საზოგადოებამ; ამასთან, განიხილოს ისეთი გზით, რომელიც ხელს უწყობს მოლდავეთის საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობის გაზრდას.

კონსტანტინ მარზა
გენერალური მდივანი
ENEMO

არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელის (ENEMO) წევრი ორგანიზაციები: სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი - ბოსნია-ჰერცეგოვინა, დემოკრატიული გარდაქმნის ცენტრი - მონტენეგრო, თავისუფალი არჩევნებისა და დემოკრატიის ცენტრი - სერბეთი, კოალიცია დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის- ყირგიზეთი, უკრაინელ ამომრჩეველთა კომიტეტი - უკრაინა; არჩევნების მონიტორინგის ცენტრი - აზერბაიჯანი, GONG - ხორვატია, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - საქართველო, ეს შენი არჩევანია - სომხეთი, LADOM - მოლდავეთი, MOST - მაკედონია, პრო დემოკრატიული ასოციაცია - რუმინეთი, დამოუკიდებელ მონიტორთა რესპუბლიკური ქსელი - ყაზახეთი, ხმა - რუსეთი, Obcianske Oko - სლოვაკეთი, პარტნიორობა - ბელორუსია, დემოკრატიული კულტურის საზოგადოება - ალბანეთი, მონიტორინგის ცენტრი - მონტენეგრო, Viasna - ბელორუსია.